პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 66 (20107) შაბათი, 19 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

18 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე დაიბარებენ გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომის უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მთელი რიგი საწარმოების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და ხელძღვანელები, შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

კრებამ განიხილა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ა. ბირიუკოვმ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ვ. ფალავანდი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ი. ავაშენაძე**, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **ბ. ს. ბაკურაული**, ათსტიპენდიანი სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. გ. ზუხუნია**, ბორის ბაბაჩიულის საფიქრალო-სამკერვალო საწარმოთა გაერთიანების მკერავი **ნ. გ. ბენდელიანელი**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. ვ. ლორთქიფანიძე**, ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ტერტერიოლდარგთშორისი გაერთიანების უფროსი **ვ. ს. ტოხოლი**, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ე. ჩიგოგიძე**, თბილისის საწყაროო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე **ა. ლ. მიარჩოიანი**, სამხრეთ ოსეთის სოფლო აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ა. კარბაზოვი**, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი **ო. ნ. სუდაძე**.

კრებაზე გამოვიდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი**.

აქტივის კრება მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. კრებაზე განხილულ იქ დარგების გარდაქმნისა და თვისებრივი განახლების პრინციპული საკითხები, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონლის აწარმოებენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პარტიის სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში. ღრმად გაანალიზეს ტენდენციები, რომლებიც რესპუბლიკაში იქმნება მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების სფეროში, გამოავლინეს ნაკლოვანებები, ეკონომიკური და სოციალური რეზერვები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ჩართული საქმეში.

რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროს მართვის სისტემა, რომელშიც ჩაბმული არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რესპუბლიკის სხვა უწყებებისა და სამინისტროების შესაბამისი ჩვე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

უკრაინის სს რესპუბლიკაში: დნეპროპეტროვსკის ობლასტის ქ. ჟოლტე ვოდი, ჟიტომირის ობლასტის ქ. ნოვოგრად-ვოლინსკი, ქ. სევასტოპოლი;

ბელორუსის სს რესპუბლიკაში: გომელის ობლასტის ქ. მოზირი, მინსკის ობლასტის ქ. სლუცკი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: მანგაშლაყის ობლასტის ქ. ფორტ-შევჩენკო;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: ქ. ფოთი.

საქალაქო რაიონები

ქ. მოსკოვის კიროვის, კრასნოგვარდეისკის, ლიუბლინის, სვერდლოვსკის და საბჭოთა რაიონები, **ქ. ლენინგრადის** ოქტომბრის რაიონი, **ქ. დონეცკის** ვოროშილოვის რაიონი, **ქ. ნიკოლაევის** საქალაქო რაიონი, **ქ. კიევის** ლენინგრადის და პეჩერსკის რაიონები, **ქ. მინსკის** ფრუნზეს რაიონი.

სასოფლო რაიონები

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: დაღესტნის ასსრ ახტის და მაგარამკენტის რაიონები; მორდვეთის ასსრ ზუბოვო-პოლიანის და რუზაევკის რაიონები; ჩუვაშეთის ასსრ კომსომოლსკოს, ჩებოქსარის და იალჩიკის რაიონები; იაკუტიის ასსრ ვილიუისკის და მომპის რაიონები; კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს და სუხობეზიმსკოეს რაიონები; ხაკასეთის ავტონომიური ოლქის ორჯონიკიძის რაიონი; ზღვის პირეთის მხარის ჩუგუევის რაიონი; სტავროპოლის მხარის პრედგორნის რაიონი; ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ადიღე-ხაბლის რაიონი; ებრაელთა ავტონომიური ოლქის ოქტიაბრსკის რაიონი; ამურის ოლქის შიმანოვსკის რაიონი; ბელგოროდის ოლქის იაკოვლევის რაიონი; გორკის ოლქის არზამასის, ლისკოვოს და შატკის რაიონები; კემეროვის ოლქის ლენინსკ-კუზნეცკის რაიონი; მოსკოვის ოლქის ლიუბერცის და სერეგინი-ევე პრედსი რაიონები; მურმანსკის ოლქის ლოვოზეროს რაიონი; ომსკის ოლქის ბოლშერეჩიეს რაიონი; ორიოლის ოლქის ეკრროვიეს და ხოტინეცის რაიონები; როსტოვის ოლქის სალსკის რაიონი; ტამბოვის ოლქის კირსანოვის, სამპურის და ტამბოვის რაიონები;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: იმიერკარპათეთის ოლქის ირშავის და ბერეჩინის რაიონები; ყირიმის ოლქის კრასნოგვარდეისკოეს რაიონი;

ბელორუსის სს რესპუბლიკაში: ბრესტის ოლქის ივაცევიჩის და პინის რაიონები; ვიტებსკის ოლქის დოვშიცის და ტოლოჩინის რაიონები; გომელის ოლქის ლელჩიცის და მოზირის რაიონები; გროდნის ოლქის გროდნის რაიონი, მინსკის ოლქის მინსკის და სტაროდოროჟსკის რაიონები; მოგილიოვის ოლქის კლიმოვიჩის რაიონი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: კუსტანაის ოლქის ნაურზუმის და სემიოზერნოეს რაიონები; სემიპალატინსკის ოლქის აბაის რაიონი; თალდა-ყორღანის ოლქის აქსუს რაიონი; თურგაის ოლქის ამანგელდის რაიონი;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: აბაშის, ბოგდანოვკის და კასპის რაიონები;

ლატვიის სს რესპუბლიკაში: კრეტინგის, სკუოდასის და ზალჩინინკაის რაიონები;

ლატვიის სს რესპუბლიკაში: კულდიგის და ტალსის რაიონები;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის შუღნანის რაიონი;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში: მარის ოლქის თახთა-ბაზარის რაიონი;

ესტონეთის სს რესპუბლიკაში: კინგისეპის რაიონი.

გაერთიანებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების 1575 კოლექტივი, მათ შორის 715 კოლექტივი შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო სასტენოა დიფაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს დაავალეს იხელმძღვანელონ პარტიის XXVII ყრილთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისისა და 1988 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებით და საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობა მოახმარონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების, მიმდინარე წელს შეთორმეტე ხუთწლედისათვის ეკონომიკის ზრდის საუნალო წლიური ტემპის დაჩქარების, გაერთიანებებისა და საწარმოების მყარი და რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას. ამ მიზნებისათვის ფართოდ გამოიყენონ ქვეყანაში გაწლილი მოძრაობა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ღირსეული შეზვედრისათვის. უფრო სრულად შეასახონ ხორცი მეურნეობრიობის ახალი მეთოდების, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების შესაძლებლობებს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაზრდის, წარმოების ყველა უბნის დინამიკური განვითარების მიღწევისათვის მშრომელთა კოლექტივების შრომითი შეჯიბრების ქმედითობისა და დაინტერესების გაზრდის საქმეში, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონზე დაყრდნობით შეჯიბრება გადააქცეონ თავად მშრომელთა საქმედ, შექმნან სამისო პირობები, რომ განვითარდეს შრომითი კოლექტივების ეკონომიკური შეჯიბრება უმცირესი დანახარჯებით მაღალხარისხოვან და კონკურენტნარიან პროდუქციაზე მომზმარებლის მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის, მიაღწიონ ბინებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების უფეთ შესრულებას. გაზრდონ სოციალისტური შეჯიბრების სოციალური და ადმზრდელობითი როლი.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვეულებს და რწმენას გამოთქვამენ, რომ ქვეყნის მშრომელები ახალ ნაბიჯს გადადგამენ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე, მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდებენ შემდეგ კოლექტივები:

19. საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ქ. თბილისი;

20. საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქალალდმრეწვი“, ქ. ზუგდიდი;

21. თბილისის მექანიკური რწყვის საწარმოო გაერთიანება;

22. ქუთაისის პუოსაცხოი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება;

23. სოფელ შემოქმედის ფ. ბახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, ბახარაძის რაიონი;

24. ძველრის გ. დ. ჯაგახიშვილის სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, გორის რაიონი;

25. გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, გურჯაანის რაიონი;

26. ცხალთუბოს სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის საწარმო;

27. ლენინის შოთა რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატი, ჩხოროწყუს რაიონი;

28. გორის მანქანა-ტრაქტორების პარკის, რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო;

29. გაერთიანება „საქაგრომონტაჟის“ კაუშირგაბმულობის სპეციალიზებული ხანონტაჟო-სარემონტო სამმართველო, ქ. თბილისი.

30. გურჯაანის, ხაიბურეთის მშენებლობისა და ექსპლოატაციის სამეურნეობათშორისო გაერთიანება;

31. თბილისის საქალაქო აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება;

32. საქართველოს სსრ სახიანო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქსანთელის“ ელექტროტექნიკის საწარმო, ქ. თბილისი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოდეს:

1. ზემო ბარდების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, გზლის რაიონი.

აბხაზის ასს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდეს:

**1. ბაბლეთის ბალეაბის ბალეაბის ბალეაბ

ამ ბოლო წლებში ბევრს, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოსულ მრავალ სტუმარს, აინტერესებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა. ამასთანავე, უცხოთის პრესაში გამონნდა ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც შეგნებულად ამასინჯავს არსებულ სინამდვილეს.

როგორც რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ" ქართულ ენაზე გადაცემით გვამცნო, ამ დღეებში ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა წერილი ქართული ეკლესიის შესახებ. თუ წერილის ავტორს დაეკუთვნება, საქართველოში არ შეიმჩნევა ეკლესიის მდგომარეობის თუნდაც ოდნავი გაუმჯობესება; გრძელდება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველგვარი დისკრიმინაცია; საეკლესიო მომსახურების დროს ქართული ენა განიცდის ყოველგვარ შეზღუდვებს; ხელისუფლება თურმე ყოველგვარად უშლის ხელს ეკლესიების გარეშენებებას და რესტავრაციას; სულ რამდენიმე ხნის წინ, ქართული მართლმადიდებელური ეკლესიის ერთ-ერთ სასულიერო პირს ეკრძალა საუბარი განუცხადებია, რომ ე. წ. „ეკრესტროიკა" და დემოკრატიზაცია სრულებით არ შეეხო ქართულ ეკლესიას. წერილის ავტორი კიდევ სხვა უსახელო და უგვარო პირებთან ერთად თუ პირად საუბრებში მოსმენილ „დაკტებს" ახასვებს.

ასეთ ინფორმაციას, რომელიც აშკარად გამიზნულია არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ დღევანდელი საქართველოს ცხოვრების, მიმდინარე პროცესების დისკრედიტაციისაკენ, მან თუ გარეთ, შეცდომაში შეიყვანა მეთვალეთა საზოგადოება, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც კარგად არ იცნობს ჩვენი ერის, კულტურის, ეკლესიის ისტორიასა და აწმყოს და ხშირად ყურმოკრული, ზოგჯერ კი ზოგიერთთა მიერ განვეკ დამახინჯებულ ამბებსა და ფაქტებზე დაყრდნობით მსჯელობს და, ბუნებრივია, მცდარი დასკვნები გამოაქვს. რა დასამალია და, ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ დღეშდე კანონიკური, ძალზე მცირე ინფორმაციას ეაწვდით ჩვენს მეთვალეთ ქართული ეკლესიის შესახებ. რედაქციის მიპნია, რომ რესპუბლიკის პრესის, და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მუშაობის ეს ხარვეზი დროულად უნდა გამოსწორდეს, ჰგრეფიულად, ობერატიულად უნდა გავაცნოთ მეთვალეთ საზოგადოებრივობას პირველწყაროდან მიღებული შეუღალმაზეული, უტყუარი ფაქტები და ცნობები. ჩვენი დღევანდელი ინტერვიუ სწორედ ამ მიზნის ეშსახურება. რედაქციის თხოვნით და მისი სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმ, უწმინდესმა და უნეტარეს ილია მეორეს ესაუბრება გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი დემურ იოსელიანი.

● **ბატონო ილია, ნება მიბოძეთ რამდენიმე შეკითხვის გამო მცირე ხნით მივიპყროთ თქვენი ყურადღება. უპირველესად, ალბათ, უსრული იქნება ოროიოდე სიტყვით გაგვაცნოთ ქართული ეკლესიის ისტორია და საპატრიარქოს სტრუქტურა, რამეთუ შესაძლოა ყველამ ეს არ იცოდეს.**

— საქართველოს ეკლესიის ისტორია პირველი საუკუნიდან იწყება, სახელწოდა რელიგიად კი ქრისტიანობა IV საუკუნეში გამოცხადდა, მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას დროს, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ქადაგების ძალით და მადლით. შემთხვევითი როდია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანაში ინახება კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წმინდა ნინოს ჯვარი ვაზისა, წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი; აქ განისვენებენ წმინდა ნინო, სვეიმონ კანანელი...

V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალის დროდღავი მცდელობით საქართველოს ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქს პეტრე II კნაფეას (464-490 წლები) დროს მიენიჭა ავტოკეფალია — დამოუკიდებლობა.

1811 წელს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ტახტზე ბრძანდებოდა ანტონ II, რუსეთის იმპერატორის თვითნებური, უკანონო ბრძანებით გაუქმდა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ქართველთა ბრძოლა ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის არ დამცხრალა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, მაგრამ მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მოხერხდა ავტოკეფალიის აღდგენა სრული სახით.

საქართველოში ჯერ კიდევ განახლდა კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მეძკვიდრეობა. აღდგენილი საპატრიარქოს პირველი საჭეთმპყრობელი იყო უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II (სამაგლაშვილი) — კაცი ფრიად განსწავლული და ერისთვის თავდადებული.

გასული წელს შესრულდა 70 წელი ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღიდან. 70 წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს ეკლესიაში. მომავალში, ალბათ, კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთება მისი სახე.

ითვალისწინებს რა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს, საქართველოს საპატრიარქო მართვა-გამგეობაში ძირითადად ხელმძღვანელობს „დიდი სჯულის კანონთან", ამას გარდა იყენებს საეკლესიო დებულებებსა და საერო კანონებს.

ეკლესია დაყოფილია ეპარქიებად, ეპარქიები კი — სამრევლოებად. ეპარქიები ემორჩილება მღვდელთმთავრებს, ხოლო სამრევლოები — წინამძღვრებს.

ამჟამად 15 ეპარქია გვაქვს: მცხეთა-თბილისის, ალავერდის, მარგვეთის, აგარა-წყალის, ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის, ბათუმ-შემოქმედის, მანგლისის, ნიკორწმინდის, უბნისის, ქუთაისი-გაენათის, ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის, ცხუმ-აფხაზეთის, წოლქნის, ჭყონდიდისა და ხობლის.

საქართველოს ეკლესიას განაგებს საეკლესიო კრება, რომელსაც იწვევს და თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; კრებათა შორის პერიოდში ეკლესიის უზენაეს უფლებათა განმახორციელებელია კათოლიკოს-პატრიარქი და მასთან არსებული წმინდა სინოდი. სინოდის შემადგენლობაში შედიან ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავრები.

● **საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული „ურნალის „ჯვარი ვაზისა" ბოლო ნომრიში აღნიშნულია ყველა ის სახიეთო ცვლილება, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა საპატრიარქოში.**

იქნებ ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველებსაც აუწყოთ ამ ცვლილებათა შესახებ?

— შესამჩნევად მოწესრიგდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრება. წლების მანძილზე უმღვდელმთავრობდა ბარგრნელ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ ან უბრუნდებათ თავისი სახე. მოხდა სამღვდელო პირთა ეპისკოპოსებად ხელდასმა. საგრძნობლად გაიზარდა მრევლი, გაიხსნა სასულიერო სემინარია, ახლახანს კი საქართველოს ეკლესიამ მიიღო სასულიერო აკადემიის გახსნის დასტური. გელათის, იყალთის, ტბეთის უძველესი, ოდესღაც ელადის სამღვდელო მდგარი, მაგრამ ეამთასელისა და მტრისაგან ოავარქმნილი აკადემიების ნაფუძარზე კვლავ გაიღვიძებს სიცოცხლე; დაარსდა საეკლესიო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", რომელსაც წელიწადში ორჯერ გამოვცემდით, მომდინარე წლიდან კი ოთხჯერ გამოვა. ჩვენთან ყოველწლიურად იბეჭდება სამი სახის საეკლესიო კალენდარი. მაგალითად კალენდარი 25-27 თებერვის მოცულობისაა. აქ სხვა მასალებთან ერთად ვაქვეყნებთ წმიდა მამათა შრომებს, მათ ბიოგრაფიებს, ლოცვებს... ყოველთვიურად ინგლისურ ენაზე საზღვარგარეთელ მკითხველისათვის იბეჭდება „საინფორმაციო ბიულეტენი", შინასაეკლესიო საკრებისათვის სისტემატიურად გამოდის „საღვთისმეტყველო კრებული". მთავრობის თანადგომით ახლო მომავალში გამოიცემა ბიბლია თანამედროვე და ძველ ქართულ ენაზე.

საქართველოს ეკლესია აქტიურად მონაწილეობს მოქმედი ეკლესიების აღდგენა-რესტავრაციის დიდ მამულიშვილურ საქმეში. ეკლესია-მონასტრების აღდგენა-გამშვენებირება ჩვენი ვალია, და ვცდილობთ, იგი შეძლებისდაგვარად განვახორციელოთ. დაესახელებ ზოგიერთ ფაქტს: აღდგენილია წმინდა მარინეს ეკლესია ახალციხეში, წმინდა ნინოს ეკლესია ბოდბეში, ღვთისმშობლის ტაძარი მანგლისში, ხელახლა აიგო ხანძრისაგან განადგურებული სასაფლაოს ეკლესია ბათუმში, კაპიტალურად შეკეთდა სოხუმის საკათედრო ტაძარი, დაიწყო ბოლნისის ეკლესიის რესტავრაცია, დასასრულს უახლოვდება იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შენებლობა თბილისში, მოიხატა თბილისის დიდებული ეკლესია, დაიდგა ქართული ტრადიციული კანკელი ნინოს ტაძარში, ამასთანავე მიმდინარობს მისი მოხატვა.

ბოლო წლებში შეკეთდა, გაიხსნა და ამოქმედდა ქ. გორის, დმანისის, ყაზბეგის, ბოლნისის, სარეხრის, ახალციხის, ნორიოს, თბილისის ქვემო ბარბარეს, ზუგდიდის, აღდგენში სოფელ უდეს ეკლესიები. აზლო მომავალში რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონში გაიხსნება კიდევ რამდენიმე ტაძარი.

● **ეკლესია-მონასტრებში რა ენაზეა ღვთისმსახურება?**

— ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში ქადაგებანი, წირვა-ლოცვა, გუნდების გალობა და ყველა რიტუალი მიმდინარეობს ძირითადად ქართულ ენაზე, ხოლო იმ ეკლესიებში, სადაც მრევლის უმრავლესობა სხვა ეროვნებისაა (რუსები, ბერძნები, ებზაზები...), ქართულთან ერთად ღვთისმსახურება ტარდება მათ მშობლიურ ენაზეც.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ სახელმწიფოსთან, ხომ არ ერევა მთავრობა თქვენს საქმეებში?**

— ისევე როგორც საბჭოთა კავშირში არსებული სხვა რელიგიები და რელიგიური მიმდინარეობები, საქართველოს ეკლესიაც გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციით მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ სინდისის თავისუფლება. მართალია, საბჭოთა კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს კონტაქტი ერთმანეთთან საერთოდ არ გვქონდეს.

ეკლესიის მრავალმხრივ საქმიანობაში რიგი საკითხების გადაწყვეტისას მთავრობის ჩარევა აუცილებელია. მთავრობასა და ეკლესიას შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა სამჭო და ამ საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში.

მათი მხარდაჭერით მთავრობამ საქართველოს საპატრიარქოს ახალი რეზიდენციისთვის გადასცა თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე შენობა, სასულიერო აკადემიის შენობა სიონის ეკლესიასთან; მთავრობა გვეხმარება ჩვენთვის საჭირო საშენი და სხვა ფონდირებული მასალების შეძენაში, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტაძრის რესტავრაციაში, სახელმწიფო ბეჭდვითი ორგანოები კი საგამომცემლო საქმის მოგვარებაში და სხვა.

● **რა მდგომარეობაა სასულიერო კადრების აღზრდა-მომზადების მხრივ?**

— მღვდელმსახურთა მომზადების საქმეს დღეს ემსახურება წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარია. სემინარია პასსიონის ტიპისაა, სწავლება სამწლიანია. აქ მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე მოწყურებენი. მღვდელისთვის პრაქტიკულად აუცილებელი საგნების: ძველი და ახალი აღთქმის, ლიტურგიკის, ჰომილეტიკის, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის გარდა ისწავლება ეგზეგეტიკა, დოგმატიკი და ძირითადი ღვთისმეტყველება, ზოგადი და საქართველოს ისტორია, რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია, ბერძნული, ლოკური, ინგლისური ენები და სხვა საგნები.

სემინარიის საუკეთესო სტუდენტები ცოდნის გასაღრმავებლად იგზავნებიან სხვა აკადემიურ ეკლესიათა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში ამჟამად ჩვენი სტუდენტები სწავლობენ მოსკოვში, ლენინგრადში, ათენში.

მარშან ჩვენი სემინარია მართლმადიდებელი ახალგაზრდების საერთაშორისო გაერთიანების — სინდესმოსის წევრი გახდა. სემინარიის სტუდენტები უკვე იღებენ მონაწილეობას სინდესმოსის კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში, მომავალში დაგეგმილი გვაქვს დელეგაციების გაცვლა.

კარგად გვესმის, რომ სემინარიაში მიღებული განათლება, თუ წარსულის ტრადიციებს და დღევანდელ მოთხოვნილებებს გავითვალისწინებთ, არ არის საკმარისი. ამიტომ მიმდინარე წლიდან შუმაობს შეუდგა ახლად გახსნილი სასულიერო აკადემია, რომელიც ჩვენში უმაღლესი განათლების მღვდელმსახურებს, ღვთისმეტყველებსა და სხვა სასულიერო მოღვაწეებს მოამზადებს. აქვე გვინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნოთ, რომ აკადემიისათვის გადმოგვეცა შესანიშნავი სასსართველიანი შენობა ლესელიძის ქუჩის 40/13 ნომერში.

● **მკითხველებს დაინტერესებთან გაგება იმისა, თუ რა არის ეკლესიის შემოსავლის მთავარი წყარო?**

— სამპატრიარქოს აქვს თავისი სანთლის წარმოება. მორწმუნე მრევლი ტაძრებში იძენს ხატებს, ჯვრებს, ნებაყოფლობით სწირავს თანხას... ყოველივე ეს ეკლესიის შემოსავლის ძირითადი წყაროა. საკუთარი თანხებით სამპატრიარქო იძენს საჭირო ინვენტარს, აძლევს ხელფასს თავის თანამშრომლებს (რომელთა რიცხვი ასამდეა), ინახავს სასულიერო სემინარიას, ეხმარება ნაკლებშემოსავლიან ეკლესიებს, უხდის ანაზღაურებას ეკლესიის გუნდებსა და მოსამსახურე პირსონალს, არემონტებს ტაძრებს.

● **ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე აცნობა მკითხველებს, თუ როგორ დაეხმარეთ შარშან სტიქიით დაზარალებულთ და არა მარტო მათ...**

— მთელი საქართველო შეძრა შარშანდელმა სტიქიურმა უბედურებამ. დაზარალებულთა დასახმარებლად ყველამ გამოიღო დახმარების ხელი, მათ შორის ეკლესიამაც. საქართველოს სამპატრიარქომ გადარიცხა 200 ათასი მანეთი, ხოლო ცალკეულმა ეკლესიებმა 27,4 ათასი მანეთი. ჩერნობილში მოიზდახი ავარიის სალიკვიდაციოდ გადარიცხეთ 50 ათასი მანეთი. ყოველწლიურად ეკლესიები გარკვეულ თანხას იღებენ მშვიდობისა და ძეგლთა დაცვის ფონდებისათვის; მაგალითად, მარტო 1986-1987 წლებში მშვიდობის ფონდს გადაეცემი 294,4 ათასი მანეთი, ხოლო ძეგლთა დაცვას — თითქმის 100 ათასი მანეთი. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ორივე ფონდისათვის გაეცილთ 900 ათასს მანეთზე მეტი. ახლად დაარსებულ კულტურის ფონდს გადაეურიცხეთ 20 ათასი მანეთი.

● **ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდამ გაზარდა, ალბათ, ეხილეს ფართო კავშირი მსოფლიოს საპატრიარქოებთან?**

— მონაწილეობას ვიღებთ მშვიდობის დაცვისათვის მიძღვნილ სხვადასხვა ფორუმებსა და საერთაშორისო შეხვედრებში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო 1986 წელს ამ მიზნით მსოფლიოს ყველა რელიგიის წარმომადგენლთა ერთობლივი ლოცვა ასიზში, სამშვიდობო მეხვედრა მოსკოვში.

სამშვიდობო და ეკუმენური მოძრაობის განვითარებასთვის, ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი საპატრიარქოს საგარეო განყოფილება. მისი საშუალებით კავშირი გვაქვს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიებთან და რელიგიურ ცენტრებთან.

მოგეხსენებათ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გარდა საქართველოს ეკლესია წევრია ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციისა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებსა და კონგრესებში.

იმ მრავალრიცხოვანი ვიზიტებიდან, რომლებიც ჩვენს საპატრიარქოს ჰქონდა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სტუმრობა რომის პაპთან, იოანე-პავლე მეორესთან. ეს იყო ამ ეკლესიათა მეთაურების პირველი შეხვედრა ოცი საუკუნის მანძილზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ვიზიტს მსოფლიო პატრიარქთან, დმიტროოს პირველთან კონსტანტინეპოლში; მეტად საინტერესო იყო ვიზიტები იერუსალიმსა და სრულიად პალესტინის, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის, ბულგარეთის საპატრიარქოებში; ვიზიტები ამერიკის, კანადის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ქრისტიანულ ეკლესიებში.

დიდი ხანია ოფიციალურ ანონიმ ყოველად უწმინდესობის, მსოფლიო პატრიარქის დმიტროოს პირველის, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის ნიკოლოზ მეექვსის, წელს კი ახალი პატრიარქის, პართენოს მესამის, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის ეგნატე მეოთხის, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის, უნეტარესი დიოდოროსის, ბულგარეთის პატრიარქის, უწმინდესი მაქსიმეს, ამერიკის და სრულიად კანადის მიტროპოლიტ იონას, უნეტარესი თეოფილეს, უნეტარესი დოროთეოსის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნების — ფილიპ პოტერისა და ემილიო კასტროს სტუმრობამ ჩვენს ეკლესიაში. გვქონდა, ასეთი კონტაქტები განმტკიცებს ურთიერთობას როგორც ეკლესიებს, ისე ქვეყნებს შორის; ხელს შეუწყობს მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, მრავალი საჭირბოროტო საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ჩვენებისა და ეკლესიების დაახლოებას.

ცალკე მსურს აღვნიშნო ჩვენი მეგობრული ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ და სომხეთის გრიგორიანულ საპატრიარქოებთან. ვსაუბრებლობ შემთხვევით, რომ ერთხელ კიდევ დიდი მადლობა გადავუხადო ამ ეკლესიათა მეთაურებს და ცალკეულ ეპარქიათა მმართველებს სტიქიით დაზარალებული საქართველოს რაიონებისათვის მატერიალური დახმარების გაწევისათვის. თანაგრძნობის წერილები მიღებული ეცხოვნიდანაც. ეშმაროლად, ყოველივე ეს არის ქრისტიანული სიყვარულის და მოყვასისადმი ჭირში თანადგომის მაგალითი.

● **„კომუნისტში" გამოქვეყნებულმა ირაკლი აბაშიძის წერილმა „...და ეს პალესტინა" მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეგები უფრო დაწვრილებით გვიამბო იმ საერთაშორისო კონტაქტებზე, რომლებსაც იყენებენ საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ხელშეწყობისაკენ და საპატრიარქოსადმი, განსაკუთრებით გვიინტერესებს ათონის ივერთა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრების ბედი.**

— საუკუნეების მანძილზე ათონის ივერთა მონასტერი იყო სულიერი და მეცნიერული მოღვაწეობის დიდი ცენტრი. მისმა მამებებელმა წმინდა მამებმა: იოანემ, ეკვთიმემ, თორნაკ ეროსთავმა, გაბრიელმა, გიორგიმ და აქ მცხოვრებნა ჩვენმა სხვა ბერებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ივერთის მონასტერი იყო ხიდი, რომლის საშუალებითაც ვეზიარებოდით ბერძნულ ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, კულტურას, ხოლო ბიზანტიელებს ვაცნობდით ჩვენს მონაპოვარს.

განსკო საუკუნეებმა. ივერთის მონასტერი კვლავ დგას, მაგრამ იქ ქართველები აღარ არიან. ამ სავანის დაკარგვა საქართველოს ძნელბედობის ჟამს მოხდა, თუმცა სულიერი კავშირი მასთან არ გაწყვეტილა. ურთიერთობა განსაკუთრებით გაღრმავდა ბოლო დროს. საქართველოს ეკლესიას ტამდენჯერმე ეწვია დელეგაცია ივერთის მონასტრიდან, იყვნენ წარმომადგენელნი წმინდა კინოტისა; ჩვენთან ბრძანდებოდნენ ათონის მთის გუბერნატორი და გუბერნატორის მოადგილე. საქართველოს დელეგაციაც რამდენჯერმე ესტუმრა ივერონს და თაყვანი სცა ათონის მთის სიწმინდეთა.

ვიმედოვნებთ, ეს მეგობრული ურთიერთობა თავის ნაყოფს გამოიღებს და მოვეკურნებით იმ დაღოცვილ ჟამს, როცა ამ წმინდა ადგილზე ერთად იმოოვეწებენ როგორც ბერძენი, ისე ქართველი მამები.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი IV საუკუნეში დაარსდა. ჩვენმა პირველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა, იყოდა მიწა და ააგო აქ პატარა ტაძარი. V საუკუნეში, წმინდა ვახტანგ გორგასლის გაადარეთა და გააშენეს იგი. შემდგომ ეგვიპტელმა მამლუქებმა დაანგრიეს მონასტერი. მერე მათ შეეცალეს დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი და მისცეს საშუალება ბერიკეი ცხოვრების აღდგენისა. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის ეკვთიმე თმაწმინდელის კურთხევით მღვდელ-მონაზონმა პროხორემ მთლიანად განაახლა ეს სავანე.

ჯვრის მონასტერი საუკუნეების მანძილზე იყო ადგილი არა მარტო ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობისა, არამედ მწიგნობრული საქმიანობისა. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების გამო XVIII საუკუნიდან ტაძარი ბერძნებმა დაიკავეს, თუმცა რამდენიმე ქართველი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე კიდევ ცხოვრობდა იქ. მარშანს, იერუსალიმში ჩვენი ვიზიტის დროს, როგორც იერუსალიმის საპატრიარქოს, ისე ამ ქვეყნის მთავრობის წინაშე აღვძარით მონასტრის დაბრუნების საკითხი. ამ საქმეში ძალზე გვეხმარება ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

გვყავრა, ღვთის შეწეენით მაღე დადგება ის კურთხეული დრო, როცა ტაძარს კვლავ თავისი ნამდვილი პატრონი დაუბრუნდება და იქ ადგილს, სადაც ის ხეა მოჭრილი, მაცხოვრისთვის ჯვარი რომ გაკეთეს, ცვლა აღეცლინება საქართველოსთვის, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ვედრება.

● **ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მრავალი ქართველი ცხოვრობს. როგორია მათთან თქვენი კავშირურთიერთობა?**

— უცხოეთში მყოფმა მრავალმა თანამემამულემ ასახელა ჩვენი ერი და ჩვენ ამით სამართლიანად ვამაყობთ. გავიხსენოთ თუნდაც დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც უკიდურესი სიდუხჭირის მიუხედავად არა მარტო შეუნარჩუნა ჩვენს ქვეყანას საუნჯე, არამედ შეაჩატა კიდევ მას სხვა სიწმინდენი და შემდეგ მთელი განმი სამობოლოს დაუბრუნა.

არ შეგვიძლია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენოთ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, მამა პეტრე ბარისეიხარაშვილი, დეკანოზი იასონ კაპანაძე და სხვანი მრავალნი.

თანამედროვე პირობებში დიდ საქმეს აკეთებდნენ და აკეთებენ: პარიზის წმინდა ნინოს ეკლესია, მისი ახლად გარდაცვლილი წინამძღვარი, დეკანოზი ილია მელია; სტამბოლში ქართული კათოლიკური მონასტრის მფარველები პეტრე და სვეშონ ზაზაძეები, სირიაში მცხოვრები ლევან სალარაძე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები გივი ზალდასტანიშვილი. ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონ ნინო და ბატონ კალისტრატე სალიებს. დიდი მადლიერებით გვინდა მოვიხსენოთ ქალბატონი თამარი და ბატონი აკაკი პაპავები, რომელთაც შეიძინეს და ჩვენს ქვეყანას შეუნახეს XVIII საუკუნეში შესრულებული სონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი. არგენტინაში მცხოვრებმა მთამა სიძე-ქალიშვილებმა, ქალბატონმა ტურფა და ბატონმა ალექსანდრე ჭეიშვილებმა ახლახან ეს სიწმინდე საქართველოში დაბრუნეს. იგი ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

როცა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით ქართველ ებრაელებსაც. მიუხედავად სარწმუნეობრივი სხვაობისა, ჩვენ გვაკავშირებს რადაც იღუმალი მტკიცე ძაფები საეროსულისა. მანძილის სიშორეს გამოაჩინა ამ კავშირის უცნაურობა და სიძლიერე. მე მახსოვს ქართველ ებრაელთა საოცარი დახვედრა ისრაელში; მათი სიყვარულთ, ცრემლით, იმედით, ტკივილითა და ნაგრით სავსე თვალების მზერა. მჯერა მე ამ თვალებისა, მჯერა მე მათი გულისა.

ინებოს ღმერთმა ჩვენს ქვეყანას შორის მშვიდობიანი, სამართლიანი და მეგობრული ურთიერთობა.

● **ბატონო ილია, ჩვენი ინტერვიუ ისე წარიმართა, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ სასაუბროები, დადებით ფაქტებზე ესაუბრობთ, მაგრამ გადასაწყვეტი, მოსაგვარებელი საკითხები და პრობლემებიც ხომ ბევრია. იქნებ ამაზეც გვითხრათ რაიმე კონკრეტული?**

— სწორი ბრძანდებით. ზემოთ თქმული არ ნიშნავს, თითქოს ეკლესიას ყველა პრობლემა გადაწყვეტილი ჰქონდეს. მაგალითად, არის მრავალი რაიონი, სადაც მორწმუნე ხალხი თხოულობს ეკლესიების გახსნას; ჩვენ კი მათი მოთხოვნა ჯერ-ჯერობით არ დაგვიკმაყოფილებია. ასეთი მდგომარეობაა სვანეთში, დუშეთის რაიონში, აჭარაში, აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში, გურიაში, თბილისში (სადაც ითხოვენ მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიების ამოქმედებას) და ა. შ.

აუცილებელია ზოგიერთი მონასტრის აღდგენაც. ისტორიის მანძილზე მონასტრები იყო არა მარტო სულიერი მოღვაწეობის სავანეები, არამედ დიდი კულტურულ-საგანმანათლებელი კერები. იქ იწერებოდა და ითარგმნებოდა საუკეთესო სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურა.

საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ ამოქმედდეს ისეთი მონასტრები, როგორიცაა: შიომღვიმე, გელათი, ახალი ათონი, მოქვი, დავთი გარეჯი და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ქმაყოფილი არა ვართ ჩვენი გამოქცევლობითაც. წელიწადში საეკლესიო კალენდარი (მაგიდის) გამოდის ხუთ 4500 ცალი, რაც ძალიან ცოტაა და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას: მისი ტირაჟის გაზრდა აუცილებელია. ასევე უნდა გაიზარდოს „საღვთისმეტყველო კრებული" ტირაჟი და დაიბეჭდოს იგი სტამბაში.

საერთოდ რუსულ ეკლესიასთან შედარებით ჩვენთან სასულიერო ლიტერატურის გამოცემები ცოტაა და ისიც მცირერიცხოვანი.

ჩვენს სასატრარქოს, ისევე როგორც ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელოსნო, სადაც დამზადდება ეროვნული ჯვრები, ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები. დღემდე კი ჩვენ ეს არ გაგვაჩნია და მოსკოვის სასატრარქოდან მოგვაქვს. ახლა ამ საქმის მოგვარების გზებზე ვფიქრობთ, მომავალში ეს პრობლემაც დადებითად გადაწყდება.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ ასევე ვცდილობთ თანამედროვე აქტუალური საკითხების წინაშე. ეს ეხება როგორც პირად და ოჯახურ, ისე სამეგობრო ნულ და საერთაშორისო პრობლემებს.

პიროვნება და საზოგადოება, პიროვნული [illegible] ბა, სამართალი, მოვალეობა და ეიერდიული კანონი, ადამიანი და ბუნება, პიროვნების ადგილი და მნიშვნელობა აქქეკუნაგ, სამყაოს მომავალი, თანამედროვე ოჯახი, ცოლ-ქმრის, შვილებისა და შვილების ურთიერთობა, სულიერობა და თანამედროვე ხელოვნება, რწმენა და ურწმენობა... აი, დაახლოებით ის საკითხები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს ეკლესიამაც, და იგი ამას შეძლებისდაგვარად აკეთებს კიდეც.

● **თუ ძალიან არ დაგღალეთ, იქნებ ერთ შეკითხვაზეც გვიპასუხოთ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, განსაკუთრებით გვინტერესებს თქვენი აზრი ახალგაზრდობის როლსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე პირობებში, მათი ყოფის, აზროვნებისა და მოქმედების განსაზღვრელი ფაქტორების თაობაზე?**

— საქართველოს ეკლესია მრავს უბერს გარდაქმნის პოლიტიკას. იგი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის. ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ პიროვნების შინაგან განსაკუთრებულ ზე, მის განწმენდასა და სულიერ ფერისცვალებაზე, რადგან მხოლოდ სულიერად ამაღლებული ადამიანის შრომის ნაყოფია კეთილი.

გარდაქმნის პროცესი უნდა გავაღრმავოთ; უნდა დავძლიოთ ძველი სტერეოტიპები; ნუ შეგვაშინებს განსხვავებული აზროვნება, ახალი იდეები... სიცოცხლე ხომ მოძრაობაშია.

საქართველოს ეკლესია ასევე მხარს უჭერს განდეგილ პოლიტიკას. იგი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის. ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ პიროვნების შინაგან განსაკუთრებულ ზე, მის განწმენდასა და სულიერ ფერისცვალებაზე, რადგან მხოლოდ სულიერად ამაღლებული ადამიანის შრომის ნაყოფია კეთილი.

ეკლესია ასევე ცდილობს ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ურთიერთობანი,

ხალხური შემოქმედება

თექავ, ორ ხელით ნათელო...

გადის დრო და ხანი, მაგრამ ჩვენს ცნობიერებაში მარად ცოცველყოფილია სიძველისადმი გრძნობა-პატივი.

როგორღაც მუდამ გინდა წარმოიგონო ძველი თბილისის სურათები, ათას ფერებში ჩაძირული ქალაქი, ქუჩებანდებში მოფრიალე ჩოხისა თუ დიდ-ატლასის კაბის კალთები, ჩუქურთმიან აივნებზე ყელმოღერებული თიხისა თუ სპილენძის სურები, იქვე გადმოფენილი თექები და ფარდაგები...

ბევრი რამ თქმულა ამ სილამაზეზე, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ზღაპარივით შემოგვრჩენია...

ამ თემაზე საუბარმა მხატვრებთან ტარიელ და ამირან სისაურებთან ერთად შორი და ლამაზი სამანები შემოგვგაბარა. ძმებს განუზრახავთ აღორძინონ და ახალ სიმაღლეზე აიყვანონ ქართული ხალხური რეწვა, კერძოდ, ძველი ხალხური გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების დარგები. ახალგაზრდულ ენთუზიაზმს ქომაგნიც აღმოუჩნდნენ. გადაწყდა ძველ თბილისში, ანაანოთანაანთ გამოეყოთ შენობა სახელოსნო-სალონისათვის.

აი, რას ამბობს მაგ შესახებ პროფესორი ვახუშტი კოტიტიშვილი:

„ქართული ხალხური ხელოვნების ყოველ დარგს რომ დაუყოვნებლივი შველა და მოვლა-პატრონობა სჭირდეა, ამის შესახებ ბევრი იწერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა რამ კეთდება. ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც არა მარტო თეორიულად იციან ჭეშმარიტი ხალხური შემოქმედების რაობა, არამედ შესწევთ ნიჭი და უნარი პრაქტიკულად უშველონ ამ, მარადღაც, საშვილიშვილო საქმეს. ასეთ პროფესიონალთა ჯგუფს გაენეკუთვნებიან მხატვრები ძმები ტარიელ და ამირან სისაურები, რომლებიც წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ საყვარელ საქმეს. მათ ზუსტად აქვთ შესწავლილი და აღნუსხული თანამედროვე ხალხური რეწვის მდგომარეობა და შესაძლებლობანი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, იციან ყოველი ტექნოლოგიური დეტალი და საიდუმლოება. ამ თვალსაზრისით ძმები სისაურები ღირსეული მემკვიდრეები არიან თავიანთი ღვაწლმოსილი მასწავლებლის პროფესორ დ. ციციშვილისა. გარდა ამისა, ძმები სისაურები თვითონვე გვევლინებიან ხალხური ხელოვნების ჭეშმარიტ ოსტატებად. მათმა ნახელავმა არ შეიძლება არ აღაფრთოვანოს მნახველი".

ხელის მაგ ნინანიფე ოდითგან მოსდგამდა სისაურების ოჯახს. ტარიელისა და ამირანის წინაპრებს ქვის და ხის ჩუქურთმები უკვეთიათ, ფარდაგები უქსოვიათ, ერთი სიტყვით, ის უკეთებიათ, რასაც დღეს ხალხურ ხელოვნებას ვუწოდებთ. მთიულები იყვნენ და ცხვარს რა გამოუვლეადთ, ამიტომაც მატყლი და შალეული ოჯახში ბევრი ჰქონდათ და თქის დამზადების საიდუმლოებაც იცოდნენ.

თექის განმზადება გახლავთ ის ხელობა, ძმებმა მშვენიერი ხელვეთინ რომ აამტკვეველეს. სიყვარულმა თუ აოქმევინა უფროს ძმას ტარიელს ეს პოეტური სტრიქონები: „სამყაროს ფერო ნათელო, თექავ, ორ ხელით ნათელო". მაძიებელმა ხასიათმა გახსნა ტარიელიდან თექის ოვისებები.

— მოთელვის ტექნიკამ თანდათან დამარწმუნა თექის დიდ შესაძლებლობებში, იგი არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი და გამოყენებული, — ამბობს ტარიელ სისაური, — თექის წარმოება რატომღაც ერთ დონეზე დარჩა და დიდი განვითარება ვერ პოვა. საქმე ის არის, რომ ტრადიციული ტექნიკა იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ თქის გამომსახველობა დატვირთვის თვალსაზრისით ფარდაგისას გასტოლებოდა. დღეს მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ტექნიკის, სახელდობრ, დაზგის გამოყენებით თქას შეიძლება ნებისმიერი მხატვრული სახე მიეცეს.

ტარიელი და ამირან სისაურები ბუნებრივ, შეუღებავ მატყლს იყენებენ და 30-მდე ტონალობას არჩევენ. ისინი თქას წარმოიდგენენ როგორც დაზგურ სურათს. მრავალფეროვანან კომპოზიციებში ქსოვილის ტრადიციულ ორნამენტებთან ერთად მრავალფეროვან ორნამენტულ სახეებს იყენებენ. „დაბადება", „ხოტბა ქართველ ანბანს", „ბრძოლა", „ფიცარ", „ბუმელი მუხასა", „დეკა", „დავითი გარეჯის ფრესკის იმპროვიზაცია", „ფიქრი" — აი ნაწილი მათი ნახელავისა, რომლებიც გამოფენილი იყო პირველ ერთობლივ პერსონალურ გამოფენაზე და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მოყვარულთა ინტერესი გამოიწვია. იგი ამ სამიოდე თვის წინათ მოეწყო კინემატოგრაფისტთა სახლის საგამოფენო დარბაზში.

ძმებს ადრეც მრავალ რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებში მიუღიათ მონაწილეობა. თექასთან ერთად ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრებიც გამოუტანიათ.

სისაურთა ნაოსტატარს, მათს მხატვრულ ნააზრევს მალე მრავალი მხანელი და დამფასებელი ეყოლება — თითქოს თვალწინათლივ ხედავ ძველი თბილისის განახლებულ უბნებში გამოფენილ ფერთა ფაკიზი გამებით ამტკვეველებულ თექებსა და ნაგდებს.

სურათებზე: ტარიელ და ამირან სისაურები; ძმების ნახელავები „დეკა" და „დეკორატიული მოტივი".

ვ. ბენდიერისა და ჯ. ლომაძის („ოფონისტი") ფოტო.

22 მარტს რიტუალების სასახლეში გაიხსნება საუბრაციონო გამოფენა, აუდიტორია კი გაიმართება 27 მარტს.

ს. მუხიგულაშვილი.



გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ტრადიცია განახლდა

რამდენიმე წლის წინათ არსებობდა ტრადიცია: საქართველოს სხვადასხვა რაიონის მშრომელები თბილისში თეატრალურ წარმოდგენებს ესწრებოდნენ.

მივიწყებული ტრადიციის აღდგენის ინიციატორად მოგვევლინა ფუალტების საკულტურო-სამოგზაურო ბიურო. როგორც რესპუბლიკის ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოს საქმეკურსიების განყოფილების გამგემ ვაჟა ჩხაიძემ გვითხრა 17-18 მარტს ფუალტების ზონის სოფლის მეურნეობის 560 მშრომელისათვის მოეწყო მასიური ექსკურსია „თეატრალური თბილისი".

დედაქალაქის სტუმრები დაესწრნენ სპექტაკლს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, გუნის კი ვ. ლენინის ძეგლისა და უცობი ჯარისკაცის საფლავის ყვავილებით შემკობის შემდეგ ფუალტბოლელებმა დათვალიერეს ძველი თბილისის უბნები.

▼ ▼

სამგასტროლოდ — კოლოგეთში

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ჯადოსნური გზები" საქართველოს კომკავშირის პრემიის, ვოკალისტთა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის თამრიკო გეგრდწოველის ხელმძღვანელობით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა. ანსამბლი კოლეტრტებს გამართავს ვარშავაში, კრაკოვში, პოზნანში, სამეფო კონცერტებს გაუმართავს ამ ქვეყანაში მომსახურე საბჭოთა მეომრებს.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ნ. ოქნიანმა.

ანზორ დვალიშვილი

ქართველ მშენებელთა რიგებს 57 წლის ასაკში გამოაკლდა თვალსაჩინო სპეციალისტი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საპრეზიდიუმო-სამრეწველო-სამშენებლო გაერთიანება „საქმონოლითმშენის" უფროსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის კათედრის ფილიალის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1969 წლიდან **ანზორ ვარლამის ძე დვალიშვილი.**

ა. დვალიშვილი დაიბადა 1931 წელს, ქ. გორში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1955 წელს, ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შეუდგა შრომით საქმიანობას მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, საიდან განვლო გზა რიგითი ინჟინერიდან ხელმძღვანელ მუშაკამდე.

1966 წლიდან მუშაობს სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე; მისი მონაწილეობით აშენდა ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი. 1970 წელს, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მიელინებულ იქნა საზღვარგარეთ საბჭოთა სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელად. 1975 წლიდან იგზავნება სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საქბამშენის" უფროსად; ნია-გრუნინსკიის მშენებლობაზე უტოლეს, უმაკარეს პირობებში, ძალღონის დაუზოგავად, მხარში ედგა ქართველ მშენებლებს, რომელთაც პირველებს მიენიჭათ ბამის მშენებელთა მედალი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატობა.

1984 წელს ა. დვალიშვილი ბრუნდება საქართველოში და სათავეში უდგება მონოლითური მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდის დანერგვას. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავდა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მონოლითური მშენებლობის ახალი ტექნოლოგიური სისტემა.

დიდია ა. დვალიშვილის წვლილი ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. მისი ინიციატივით შეიქმნა გაერთიანება „საქმონოლითმშენში" საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის კათედრის ფილიალი.

ა. დვალიშვილის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული იყო სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით, რამდენჯერმე აირჩიეს ირკუტსკისა და ჩიტის ოლქების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

შრომისმოყვარე, ენერგიული მუშაკი, ჩინებული ორგანიზატორი, უალრესად გულისხმიერი ხელმძღვანელი, კოლეგა, რომელიც ნიდაგ გვხიბლავდა თავისი ინტელიგენტობითა და ერუდიციით, პროფესიის ერგოულებითა და დიდი მამულიშვილური, ოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით — ასეთი იყო ანზორ დვალიშვილი. ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს სსრ სახმფინი; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო; მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობის მუშათა რესპუბლიკური პროფკავშირული კომიტეტი; საქართველოს მ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; სსსგ „საქმონოლითმშენი".

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 21 მარტი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მეთუნეები". 14.00 — ეკონომიკის კურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცოცხალი ტექნოლოგიის ინჟინრები" (პირველი ჩვენება). 15.00 — ტელეეკურსელთათვის. მათემატიკაში ხანმოკლე დავალების ანალიზი. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე.) 15.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 15.50 — დოკუმენტური ფილმი „ყველავ ერთად". 16.00 — შელტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.30 — შვეისწყვლოთ რუსული ენა. 17.00 — შემეცნებით-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის (განმეორებით). 17.50 — „დავაჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი". „ზზნის სხივები — დეზნის წყარო". 18.15 — უკრაულ პოლონა ოსტატნსკაია. 19.00 — გარდაქმნის წახნაგები. „კანონი მოქმედებს" (მერვე გადაცემა). 19.40 — „ჩვენი ბაღი". როგორ გავსხლაოთ ხეხილი. 20.00 — მოამბე. 20.35 — დოკუმენტური ფილმი. 21.05 — ა. გელმანი — „ჩვენ, ქვემორე ხელისმოწერნი" (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. ჩაწერილია 1980 წ.). პირველი მოქმედება. 22.00 — „ერუმია". 22.40 — „გარდაქმნის პროგექტორი" (3). 22.50 — ა. გელმანი — „ჩვენ, ქვემორე ხელისმოწერნი". მეორე მოქმედება.

მეორე პროგრამა. 17.45 — მოალემენტრაციანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქალბატონი ლეენის გოგო". 18.45 — მხატვრული ფილმი „ლევ ტოლსტოი". I სერია. 20.00 — მოამბე. 20,35 — მხატვრული ფილმი „ლევ ტოლსტოი". II სერია.

სამშაბათი, 22 მარტი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — კინოეურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რაზე ჩაფიქრებულხარ, ტყვე?" (პირველი ჩვენება). 14.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თუშური ყველი". 15.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერეკვანი". 15.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 15.55 — განცხადებები. 16.00 — შვეისწყვლოთ ინგლისური ენა. 16.30 — მულტიფილმების პროგრამა. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ომარ ხოსაძე". 17.35 — გარდაქმნის წახნაგები. დოკუმენტური ფილმი „იალიმბაევის კონფლიქტები" (პირველი ჩვენება). 17.55 — „ჯადოსნური ეკრანი". 18.15 — მოსწავლეთათვის — „ფანტაზია და მარჯვე ხელები". 18.45 — „თეატრალური ალბომი". 19.15 — გარდაქმნის წახნაგები. „ყველა ტუბი — ქალაქ-კურორტის განსახლება". 19.35 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — მოამბე. 20.30 — რეზონანსი. „ცხელი წერტილები" მშვიდობის გზაზე". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროგექტორი". 22.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უსასლეთ". 22.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი".

მეორე პროგრამა. 18.50 — დოკუმენტური ფილმი „მოწოდება". 19.10 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 19.55 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „ზინა-ზინულია".

ოთხშაბათი, 23 მარტი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — დოკუმენტური ფილმი „რეპორტაჟი წარმოებიდან" (პირველი ჩვენება). 14.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. „ეძებე მოკავშირე. ბუნებაში", „ბიმერი" და „როდონტი". 15.10 — დოკუმენტური ფილმი „ელეგია". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.00 — შვეისწყვლოთ გერმანული ენა. 16.30 — მოალემენტრაციანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყველაფერი". 17.10 — განცხადებები. 17.15 — „თანამედროვე ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში" (განმეორებით). 18.15 — რეკლამა. 18.25 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი". 18.55 — მოამბე. 19.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. სპარტნეიო — სსრ კავშირი. რეპორტაჟი სპარტნეიოდან. შესვენებისას (20.15) — ქართული დოკუმენტური ფილმი „სადაურსა სად წაიყვან". 21.15 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში — სსრ კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიური ნაკრები გუნდების შეხვედრის მეორე ტაიმი (გადმოგება გდრ-დან). 22.00 — „ვრემია". 22.50 — „სათავგადასავლო ფილმის" ეკრანი". მხატვრული ფილმი „მაძებარი". პირველი სერია.

მეორე პროგრამა. 18.20 — ქართული სატელევიზიო მოალემენტრაციანი მხატვრული ფილმი „უსასელო უფლისციხელი". 18.55 — მოამბე. 19.30 — „სალაღობო" (განმეორებით). 20.25 — მხატვრული ფილმი „ყველა საგუშაგოს საყურადღებოდ!".

ხუთშაბათი, 24 მარტი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — ბიბლიოგრაფიკა. პიოლოგია. 14.20 — დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პროფკავშირულ საკითხებზე" (პირველი ჩვენება). 15.20 — „წარსულს ჩაგხედოთ თვალებში" (განმეორებით). 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.20 — აბიტურიენტებათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 17.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საუკუნეებს გაუძღეს". 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენციაა". 18.30 — ახალგაზრდობისათვის „ვიაროთ, ეპოვოთ, მოვიძიოთ, გადავარჩინოთ" (ახალგაზრდების ექსპედიცია ხვამლის ციხეზე). 19.00 — წერილის დღე. 19.05 — „საერთაშორისო მიმოხილველები რესპუბლიკის მშრომელებთან" პალეესტინის მოძრაობა: პრობლემები, ძიებები, პერსპექტივები. 19.50 — წერილის დღე. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები, „რუსეთი შეკრეს პიროობა". 21.00 — „ეროპრატეკი კომენტარებით". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 „სათავგადასავლო ფილმის ეკრანი". მხატვრული ფილმი „მაძებარი" მეორე სერია.

მეორე პროგრამა. 18.50 — მოალემენტრაციანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბუსკა". დადგეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი — „ბაში აჩუკი". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „თავადი გრუზინსკი" (პირველი ჩვენება). 13.55 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუიანოვი — კილომეტრები". (პირველი ჩვენება). 14.45 — „საეტრადო პანორამა" (განმეორებით). 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — შვეისწყვლოთ ფრანგული ენა. 16.20 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.30 — „საერთაშორისო მიმოხილველები რესპუბლიკის მშრომელებთან". „პალესტინის მოძრაობა: პრობლემები, ძიებები, პერსპექტივები". (განმეორებით). 17.15 — „ყველი ნათელი". ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სანდრო ახმეტელი". 17.35 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.55 — მოსწავლეთათვის. „ეარგედრომ ვიმღეროთ" (განმეორებით). 19.05 — „მეცნიერთა სატელევიზიო კლუბი". 20.00 — მოამბე. 20.35 — მწერალ რ. მიშველაძის შემოქმედებითი საღამო. 21.55 — საქართველოს სანანსნო ციხეზე გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — მწერალ რ. მიშველაძის შემოქმედებითი საღამო (გადმოცემა). 23.55 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 18.50 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „ბიძეგნა". 21.05 — მოალემენტრაციანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სასაცილოდ, საბრალოდ".

შაბათი, 26 მარტი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „რა დაინახა მეფეზამ". 9.50 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 10.00 — შვეისწყვლოთ ქართული ენა. 10.30 — „აბხაზაგი სერგო". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ციკლიდან „ისინი იყვნენ პირველნი". 11.05 — შვეისწყვლოთ რუსული ენა. 11.35 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი „ექვსი თოვლიანი დღე". 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოგორ გაანაწილა ბაჭიამ თევზი". 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ხალხური შემოქმედება. „ფოლკლორული საღამო მახარაძემი". 14.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.45 — „მუსიკალური კალეიდრის ფურცლები". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.00 — საზაფხულო დროზე გადასვლის შესახებ. 17.10 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 17.40 — „გლობუსი". 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ივანინა". 19.00 — „ერთი საინტერესო კონცერტის შემდეგ" (პროგრამაში პოპულარული კლასიკური მუსიკა). 20.00 — მოამბე. 20.35 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახებ. „მეგობრების ეკრანი" (აზერბაიჯანის ტელევიზიის პროგრამა). 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — სპორტული პროგრამა. 23.20 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

კვირა, 27 მარტი

პირველი პროგრამა. 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს ბეჭედი". 10.00 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 10.10 — „დილა მშვიდობისა!". მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოფაფაში. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო. „მულტიპანორამა". 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა" (რა არის ტუბერკულოზი). 14.15 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.50 — საკვირაო გამოფენა. 14.55 — „ვეფხვნიკი". 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.00 — მუსიკალური აფიშა. 16.35 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ფურნალი. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმები: „ერთ ჭერქვეშ" და „ლეკვების თავგადასავალი". 17.30 — მღერის ანსამბლი „თაიგული". 18.30 — „ხელოვნების ლექტორიუმი" — იაპონის ხელოვნება (პირველი გადაცემა). 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გაგზ. 20.00 — მოამბე. 20.35 — თეატრის საერთაშორისო დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „მეგობრობის გზები" — ქართველი მუსიკოსები მოლდავეთში. 23.55 — სპორტული პროგრამა. 0.30 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

შაბათი, 19 მარტი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „საუკუნეთა ხმები". 10.00 — „რატომ და რისთვის". 10.30 — მუსიკა ფ. შუბერტის მუზეუმში. № 5 სიმფონია. 11.05 — დოკუმენტური ფილმი „ამხანაგი კრასინი უფლებამოსილია...". ციკლიდან „ისინი პირველნი იყვნენ". 12.00 — ვისაუბროთ არსებითად. „ჩერნობილის გაკვეთილები". ატომური ენერგეტიკის შემდგომი განვითარებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. 13.30 — ხალხური მუსიკის სრულიად რუსეთის დეკადა. უკრაულ უკრაელ პიანისტთა ტრიო. 13.55 — სოციალისტურ ქვეყნებში. 14.25 — XIX საკავშირო პარტკონფერენციის შესახებ. მხატვრული ფილმი „ციმბირელი ქალი". I და II სერია. შესვენებისას, 15.35 — ახალი ამბები. 16.50 — ყველასა და თითოეულისათვის. „კოოპერატიკები: როგორ განვავითაროთ შემდგომში?". მეორე გადაცემა. 17.20 — ამპარა — დაუფერებელი. 18.20 — მულტფილმები. 18.40 — საერთაშორისო ცხოვრების რედაქცია წარმოიდგენენ: „ავღანეთის მიწა-წყალზე". რეპორტაჟი რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფილმი „ვინი და ნელსონ მანდელა". 19.40 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენ თქვენი შვილები ვართ". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — კვირაძალს. საზრიანთა კლუბი -88. 0.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „სტუდია წარმოგიდგენთ..." „ეურანტები" (ლენინგრადი). 10.00 — ე. მეეფელიტისის პოეტური ვერნისაჟი. 11.00 — ჯანმრთელობა. 11.50 — ცხოველთა სამყაროში. 12.50 — დიალოგი კომპეტერთან. 13.40 — ფილოსოფიური სუბრები. „ადამიანი". „ადამიანის კომპლექსური შესწავლის პრობლემებზე" საკავშირო კონფერენციის მასალების მიხედვით. 14.25 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 15.30 — ეთერშია მუსიკა. შესვენებისას — 16.30 — რეკლამა. 17.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „სამხრეთელი ტკვიამფრქვევეურა" 19.00 — ფეხბურთი. „ფალგირისი" — მოსკოვის „დინამო". მე-2 ტაიმი. 19.45 — მულტფილმები. 20.15 — ხალხური მუსიკის სრულიად რუსეთის დეკადა. რუსეთის სფსრ მუსიკალური ფოლკლორი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ჩიგბურთი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — პროგრამა „აზრი". შაბათი მშობლების დღეა. 0.20 — ახალი ამბები. 0.30 — „პორტრეტი ვარიაციებით". გადაცემა დონეცკიდან.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი" (მ). 9.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.25 — შვეისწყვლოთ ქართული ენა. 10.55 — წიგნის მოყვარეთა კლუბი. „ილია და გაზეთი „ივერია" (განმეორებით). 11.40 — შვეისწყვლოთ რუსული ენა. 12.10 — დოკუმენტური ფილმი „დაუსრულებელი დღე" (პირველი ჩვენება). 12.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.35 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახებ. „მეგობრობის ეკრანი". ლვოვის ტელევიზიის პროგრამა. 13.35 — ბალეტის მოყვარულთათვის. 14.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — ლიტერატურული გადაცემა. „იაკინთე ლისამეილი" (განმეორებით). 14.55 — ხალხური ქოროგრაფიის პრობლემები (II გადაცემა). 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — ქართული ეკრანის ოსტატები. დუდუნან წერეძე. 16.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.20 — გარდაქმნის წახნაგები. რატომ გვაკლია ხიდ-ბოსტნეული? (II გადაცემა). 16.45 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.30 — შემეცნებით-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის: 18.20 — წარდგენილია ლენინურ პრემიაზე. მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე". 20.00 — მოამბე. 20.40 — „მარადიული პრომნეის თაყვანისცემა". მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია. 21.15 — სპორტული პროგრამა „45 წუთი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: თბილისის „დინამო" — მოსკოვის „დინამო". 23.20 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

სპორტი

ძიუდო

7 მედალი 3 წონაში

ბარუინვალე შედეგი — ორი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს ძიუდოისტთა გამოსვლა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩვენმა ფალავნებმა უკვე „მოსსწრეს" 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

დიახ, კიშინიოვში მიმდინარე ასპარეზობაში ჯერ მხოლოდ სამწონით კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები და სამივე ჩემპიონი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. მძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა ქუთაისელ **დავით ხახალეიშვილს** („დინამო"), ქვემძიმეში — **ზესტაფონელ ოთა გურეშიძეს** („ზრომითი რეზერვები"), 86 კგ წონაში — **ახმეტელ დავით ბაკურის** („დინამო"). ამავე წონაში ვერცხლის მედალს დაეუფლა თბილისელი თამაზ საალეგელი (პროფკავშირები), მესამე ადგილები დაიკავეს ზაზა დარბაზნდაშვილმა (+95 კგ. „ზრომითი რეზერვები", თბილისი), ვეფხვი კაპანაძემ (95 კგ, „დინამო", თბილისი) და თემურ აბუაშვილმა (95 კგ, პროფკავშირები, გორი).

წყალბურთი

დიდი ანგარიშით

თბილისელ და ლვოველ თანაკალთელთა შეხვედრაში მასპინძელთა გულშემატკივრები თავიანთი გუნდის გამარჯვების იმედით იყვნენ, მაგრამ ასეთ ანგარიშს, ალბათ, არავინ ელოდა. ქართველმა წყალბურთელებმა 8 ბერთის უპირატესობით დაამარცხეს ჩემპიონნაკის ერთ-ერთი ლიდერი — 13:5.

ამ მატჩში თბილისელებმა მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს, თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და ღირსეულადაც გიმარჯვეს. გოლები პერიოდების მიხედვით ასე ნაწილდება — 1:0, 4:1, 2:2. 6:2. როგორც ხედავთ, ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა მატჩის ბოლო პერიოდი.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბითაძე, რომელმაც მეტოქის კარი ხუთჯერ დალაშქრა. კუტივაძემ 3 გოლი გაიტანა, ნიკოლაიშვილმა — 2, გვაბარიამ, რამაშვილმა და ზუმბულიამ — თითო. უთუოდ უნდა აღინიშნოს მეკარე გიორგაძის უზადო თამაში.

რეგბი

გამარჯვებით დაიწყეს

ფეხბურთელების ცალკადაკვალ ახალი სპორტული სეზონი გახსნეს ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა გუნდებმა. მართალია, საკავშირო ჩემპიონატის ალაში 31 მარტს აღიმართება, მაგრამ უკვე დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები.

საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში ჩაება 24 გუნდი, რომლებიც 4 ქვეჯგუფში განაწილდნენ. ქუთაისში, ასპარეზობენ ადგილობრივი „მშენებელი", მოსკოვის „ფილი", ლენინგრადის „პრიმორეცი", ხარკოვის „ტრაქტორეცი" და ტბილისელ „ბოლნელ-ბაზა". ეს ბოლო ერთ-ერთ ადგილობრივ ნაკრებ-ბაზად ითვ